საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის ხელშეწყობა – ECO.GEORGIA

პროექტის შესახებ

ECO.Georgia საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის მხარდაჭერის პროექტს წარმოადგენს, რომელიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მასში შემავალი უწყებების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ ხორციელდება.

პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში ტყის მდგრადი მართვის მიდგომების დანერგვას, ენერგოეფექტური ღუმელებისა და შეშის ალტერნატიული საწვავის (მაგ. ბრიკეტები და სხვა) ბაზრის განვითარებას, მოსახლეობისათვის შემოსავლის წყაროების გამრავალფეროვნებას, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერებას ტყის მართვის პროცესში.

პროექტი აქტიურად იმუშავებს გურიის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რვა მუნიციპალიტეტში, მათ შორის ერთ-ერთია ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

პროექტი თანადაფინანსებულია კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს (BMZ), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და საქართველოს მთავრობის მიერ.

GREEN CLIMATE FUND
გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT
Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra
Swiss Agency for Development and Cooperation SDC

სად და როგორ წარვადგინო საჩივარი?

მოათავსეთ თქვენი საჩივრის წერილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში განთავსებულ საჩივრების ყუთში

დაუკავშირდით ECO.Georgia-ს რეგიონულ კოორდინატორს ნომერზე:
ტელ.: 599 30 38 45

გააგზავნეთ წერილი ელ,მისამართზე:
ECO.Georgia@giz.de

სათემო წარმომადგენლის მეშვეობით, როგორიცაა: სოფლის რწმუნებული, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

წარმოადგინეთ საჩივარი ან საკითხი ქალაქში/სოფლებში ჩატარებულ პროექტის ნებისმიერ შეხვედრაზე.

განაცხადეთ საჩივარი GCF-ის ვებგვერდზე:
https://irm.greenclimate.fund/case-register/file-complaint

Implemented by giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
Rural Development Agency
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

GREEN CLIMATE FUND
გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT
Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra
Swiss Agency for Development and Cooperation SDC

საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის ხელშეწყობა – ECO.GEORGIA

საჩივრების მექანიზმი

რა არის „საჩივრების მექანიზმი“ და რა შეიძლება იყოს „საჩივარი“ პროექტის ფარგლებში?

„საჩივარი“ გულისხმობს ცალკეული ოჯახების ან მთლიანად სოფლის/თემის მოსახლეობის მიერ გამოხატულ წუხილს, პროექტ ECO.Georgia-ს საქმიანობით გამოწვეულ ზიანზე, ან პროექტთან რაიმე გზით დაკავშირებულ პრობლემაზე. პროექტის „საჩივრების მექანიზმი“ განიხილავს თქვენს მიერ მოწოდებულ პრობლემას და მოიძიებს ეფექტურ გზებს, წამოჭრილი საკითხის მოსაგვარებლად.

Implemented by giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
Rural Development Agency
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

ვის შეუძლია საჩივრის წარდგენა?

საჩივრის წარდგენა შეუძლია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნებისმიერ მოსახლეს, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს, არასამთავრობო ორგანიზაციას, სათემო ჯგუფს ან სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეს, პროექტის საქმიანობით გამოწვეული პრობლემის გადაჭრის ან მისი თავიდან აცილების მიზნით.

რატომ უნდა წარვადგინოთ საჩივარი?

საჩივრების წარდგენით, ერთის მხრივ, დაეხმარებით თქვენს სოფელს/ქალაქს გადაჭრას/თავიდან აირიდოს პროექტის აქტივობებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი ზეგავლენა. მეორეს მხრივ კი დაეხმარებით პროექტს, გააუმჯობესოს სამუშაო პროცესები და ხელს შეუწყობთ პროექტის მიზნების მიღწევას, რაც გულისხმობს:

- **ადგილობრივი მოსახლეობის/თვითმმართველობის ჩართულობის ზრდას ტყის მდგრადი მართვის პროცესში;**
- **ადგილობრივი მოსახლეობის/ თვითმმართველობის შესაძლებლობათა გაძლიერებას;**
- **მოსახლეობისთვის საარსებო საშუალებების გამრავალფეროვნებას;**
- **საშეშე ხე-ტყისა და ტყის სხვა რესურსების მდგრადად და ენერგო-ეფექტურად მოხმარებას.**

საჩივრების გადაჭრის პროცესი

ნაბიჯი 1

საჩივრის წარდგენა/რეგისტრაცია

მოგვაწოდეთ საჩივარი თქვენთვის მოსახერხებელი რომელიმე გზით: წერილობით გამოგზავნეთ მითითებულ ელ.ფოსტაზე, ან მოათავსეთ საჩივრების ყუთში, ან გადაეცით თქვენი სოფლის რწმუნებულს. საჩივარს მიიღებს ECO.Georgia-ს რეგიონული კოორდინატორი ან პროექტის წარმომადგენელი და დაარეგისტრირებს „საჩივრების რეგისტრაციისა და მონიტორინგის ფურცლის“ მეშვეობით.

ნაბიჯი 2

განხილვა / მოკვლევა

30 დღის ვადაში, ECO.Georgia-ს რეგიონული კოორდინატორი/GIZ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი, თქვენი თანდასწრებით ან თქვენს გარეშე (იმ შემთხვევაში, თუ გსურთ დაიცვათ თქვენი კონფიდენციალურობა), ადგილზე გაეცნობიან პრობლემას, მოაგროვებენ ინფორმაციას და ფოტო მასალას.

ნაბიჯი 3

პრობლემის გადაჭრა

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ექვემდებარება ფინანსურ/მატერიალურ კომპენსაციას, ან საჭიროებს რეაგირებას, ჩაერთვება ზარალზე პასუხისმგებელი პირი, პარტნიორი/სახელმწიფო უწყება, ადეკვატური კომპენსაციის ან ზომების დასადგენად.

ნაბიჯი 4

პრობლემის დახურვა

პრობლემის გადაჭრის შემდეგ, საქმე დაიხურება და აღნიშნულ საკითხზე სრული ანგარიში მოგეწოდებათ.